



gazeTi gamodis  
1931 wl is 5 ianvridan

# კ ლ ი ო ნ ი

ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ - პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი გ ა ზ ე თ ი [www.alion.ge](http://www.alion.ge)

ყოველკვირეული გამოშვება  
ფასი 20 თეთრი

## ოზურგეთში ჯგერალ ჭკუასელის პარსკვლავი გაიხსნა

გაზეთი „ალიონი“



18 მაისს ოზურგეთში, ზვიად გამსახურდიას სახელობის მოედანზე ათასობით ოზურგეთელი შეიკრიბა ანსამბლ „ერისიონის“ კონცერტზე. სახელმწიფო თეატრის წინ ფირმა „ალბატროსის“ სპეციალურ სცენაზე „ერი-სიონმა“ საუკეთესო ნომრები წარმოადგინა. ამ დღეს მის ხელმძღვანელს — ჯგერალ ჭკუასელს დაბადებიდან 78 წელი შეუსრულდა.

როგორც ღონისძიების წამყვანმა ზაზა ჯინჭარაძემ განაცხადა, კონცერტის ყველა საბრძოლო სიმღერისა და ცეკვის ნომრები ავლანეთში ამ დღეებში დაღუპული სამი ქართველი ვაჟკაცის ხსოვნას ეძღვნებოდა. „ერისიონს“ ამ დღისათვის სწორედ საბრძოლო-ჰეროიკული ნომრები ჰქონდა შერჩეული.

— „ქართული ხელოვნება სუფთა და კრიალაა. ჩვენ ყოველგვარ პოლიტიკაზე მაღლა დავდებით რუსეთში, სადაც გავმართეთ კონცერტები. ყველა დარბაზში საქართველოს დროშა ავაფრიალებთ. უნდა გავიძინოთ ხელოვნება და კულტურა პოლიტიკისაგან და ვთხოვ იმ ადამიანებს, რომლებიც ჩვენი თანამებრძოლები არიან, ნუ იქნებიან რადიკალები. მშვიდობა და სიყვარული გადაგვარჩენს“ — განაცხადა ჯგერალ ჭკუასელმა რუსეთის გამართული კონცერტების შემდეგ. უნდა აღინიშნოს, რომ „ერისიონის“ საბრძოლო ცეკვებში ქართულ დროშას განსაკუთრებული ფუნქცია აქვს მინიჭებული.

კონცერტის შემდეგ ოზურგეთის სახელმწიფო თეატრის ფოეში ჯგერალ ჭკუასელის ვარსკვლავის განსხ-ნის ცერემონიალი გაიმართა, სადაც გაცხადდა, რომ ცნობილმა ოზურგეთელმა ბიზნესმენმა ვანო ჩხარტიშვილმა იუბილარს „მერსედესის“ მარკის ახალი ავტომობილი აჩუქა.

— „დღევანდელი დღე პირველ რიგში, იმ ადამიანების დამსახურებაა, რომლებმაც უნიკალური ქართული ტრადიციული მრავალხმიანობა დღემდე უამრავი

სიხელის მიუხედავად გადაარჩინეს და ჩვენამდე მოიტანეს. ამ დღისათვის მართლაც რომ ღირდა ცხოვრება, დიდი მადლობა ყველას და სრულიად საქართველოს“ — ამბობდა სიყვარულით გულანთებული ხელოვანი და ოზურგეთელთა ჩამოსული სტუმრების უამრავ მილოცვას ღებულობდა.

ოზურგეთელების წინაშე სიტყვით გამოსულმა მუნიცი-პალიტეტის გამგებელის მოვალეობის შემსრულებელმა კოტე შარაშენიძემ აღნიშნა, მან ეს ღამაზი ღონისძიება პარლამენტარ ზვიად კვაჭანტირაძესთან ერთად დაგეგმა და ასეთი ღამაზი დღე აჩუქეს ოზურგეთელებს.

## პარლამენტთან გენდერული თანასწორობისათვის აქცია გაიმართა

ინფო ნიკოლაიშვილი



15 მაისს, ქ. ქუთაისში, საქართველოს პარლამენტის შენობასთან „გენდერული თანასწორობის ქსელმა“ და „ჟურნალისტთა ქსელმა“ გენდერული თანასწორობისათვის ფართომასშტაბიანი აქცია „აირჩიე დემოკრატია“ გამართა.

ღონისძიებაზე საქართველოს ყველა კუთხიდან ჩავიდნენ ჟურნალისტები, სტუდენტები, არასამთავრობო ორგანიზაციების, ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლები. აქციაზე წარმოდგენილი იყო კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდ „სოხ-უმის“ სათაო და რეგიონალური ორგანიზაციის წარმომადგენ-ლები.

მოეწყო თეატრალიზებული დადგმა „აირჩიე დემოკ-რატია“, რომელშიც მონაწილეობდა 150 ადამიანი—75 მამაკაცი და 75 ქალი, რაც სიმბოლურად უკავშირდება დებუტატთა რაოდენობას პარლამენტში.

**მანანა მეზუკე**, გენდერული თანასწორობის ქსელის ხელმძღვანელი: ჩვენ მხარს ვუჭერთ იმ საკანონმდებლო ინიცია-ტივას, რომელიც ეხება გენდერული თანასწორობა ქალთა პოლიტიკაში ჩართულობის მიზნით და საქართველოს საარჩევნო კოდექსსა და „მოქალაქეთა გაერთიანების“ შესახებ ორგანულ კანონში ცვლილებების შეტანას. აუცილებელია მოხდეს 32400 მოქალაქის მოთხოვნების გათვალისწინება.

**გიორგი გოზალიშვილი**, პარლამენტარი, გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი: ჩვენ მხარს ვუჭერთ იმ ინიცია-ტივას, რაც ითვალისწინებს იმ პარტიათა სუბსიდირებას, რომელთაც საარჩევნო გამსვლელ სიებში წარმოდგენილი ეყოლებათ ქალთა შესაბამისი რაოდენობა. აქციაზე სიტყვით გამოვიდნენ ერთ-ერთი ინიციატორი დათო ლიკლიკაძე, პარლა-მენტარი ნანა ყენიშვილი.



## 18 მაისის ინციდენტის გამო

გაზეთი „ალიონი“



შაბათს, ზვიად გამსახურდიას სახელობის მოედანზე ანსამბლ „მრისიონის“ კონცერტის მშრნალისტ გიორგი გირკველიძეს საჯარო სივრცეში გადაღების უფლება შეუზღუდას.

რეგიონებში, ის მედიასაშუალებები, რომლებიც ობიექტუ-რად აშუქებდნენ ბოლო წლებში საქართველოში მიმდინარე არადემოკრატიულ პროცესებს და მხარს უჭერდნენ კონსტი-ტუციური გზით ხელისუფლების შეცვლას, განსაკუთრებული წნეხის ქვეშ იმყოფებოდნენ. გაზეთ „ალიონის“ მაგალითზე მინდა ვთქვა, რომ რეგიონულმა და ადგილობრივმა ხელისუ-ფლებამ ყველა რესურსი გამოიყენა ზეწოლის გასაძლ-იერებლად და გაზეთის დასახურად.

ისევე როგორც ჩვენი ბევრი კოლეგა, ჩვენც მოთმინებით ვიტანდით ასეთ დამოკიდებულებას და ვცდილობდით მაქსი-მალურად მიგვეტანა მოსახლეობამდე ობიექტური ინფორმა-ცია.

უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო წლებში შინაგან საქმეთა ორგანოები პოლიტიზირებული იყო და მათ არაადეკვატურ დამოკიდებულებას ნშირად ვგრძნობდით ხელი-სუფლებისათვის მიუღებელი მედიასაშუალებების ჟურნალ-ისტები.

იყო პოლიციაში დაბარებების, „გასაუბრებების“ ფაქტები, ზოლო პრეზიდენტის, სხვა მაღალი თანამდებობების პირების ოზურგეთში ჩამოსვლისას განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ ვიყავით, რათა შეეზღუდათ ჩვენთვის გადაადგილების უფლებები, ფოტოგადაღებები.

2011 წლის 17 სექტემბერს ბატონი ბიძინა ივანიშვილი რეგიონის ჟურნალისტებს შეხვდა. ამ შეხვედრის შემდეგ განსაკუთრებით ვგრძნობდით შსს ორგანოების გაძლიერებულ ყურადღებას. სოდ-ის, კოდ-ის თანამშრო-მლების თვალთვალსა და „ცივ გადმოხედვებს“ თითქმის ყველა იმ ადგილებში, სადაც ჟურნალისტები თავიანთ პრო-ფესიულ მოვალეობას ასრულებდნენ.

2012 წლის 19 აგვისტოს ბახმაროს დოლი, სამარცხვი-ნო ფურცლად შევა გურიის ისტორიაში. სააკაშვილის რეჟიმმა ამ დღეს საზოგადოებას თავისი სახე უჩვენა. 2 ათასამდე პოლიციელი და სპეცრაზმელი ჰყავდა მობილიზე-ბული, რათა თავი „დაეცვა“ ოცნებისმაისურიანი 70 თუ 100 ახალგაზრდისაგან.

ამ დღეს ბახმაროს შესასვლელში, იქ სადაც



## 7 დღის ამინდის პროგნოზი

	კლიმატი წვიმა +12+21		წვიმა +12+22		წვიმა +14+24		მზა ღრუბლი +14+23		მზა +17+26		ღრუბლი +20+25		მზა, ღრუბლი +16+24
20 მაისი ორშაბათი	21 მაისი სამშაბათი	22 მაისი ოთხშაბათი	23 მაისი ხუთშაბათი	24 მაისი პარასკევი	25 მაისი შაბათი	26 მაისი კვირა							



# 18 მაისის ინციდენტის ბაგო

პოლიციას კორდონი ჰქონდა გაკეთებული „ქართული ოცნების“ აქტივისტების შესაკავებლად, ჟურნალისტურ მოვალეობას ვასრულებდით (ინტერვიუს ვიწვრდით „ქართული ოცნების“ აქტივისტ თემურ ჩხაიძესთან). პოლიციის მალაჩინოსნებმა ბრძანება გასცეს „ქართული ოცნების“ აქტივისტების კურორტის შესავლელიდან გასაძევებლად (ძალით ჩასვეს მიკროავტობუსებში) და ჩვენს დასაკავებლად. დაგვაკავეს გახეთის ორი ჟურნალისტი ოჯახის წევრებთან ერთად. სამეგრელოდან ჩამოყვანილი 12 სპეცრაზმელი საგულდაგულოდ „გვიკავდნენ“ ორი საათის განმავლობაში.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ამის შესახებ დაეწერეთ, შსს გურიის მთავარი სამმართველო არ დაინტერესებულა ჟურნალისტების უფლებების დარღვევის კონკრეტული ფაქტის მოსაკვლეად. არც 2012 წლის 24 სექტემბერს კერძო შემოსავლების სამსახურის კერძო ინსპექტორების მიერ რედაქციაზე მიყენებული ზარალის საქმის გამოძიება მიუყვანიათ ბოლომდე.

საბედნიეროდ დემოკრატამ გაიმარჯვა, ხელისუფლება შეიცვალა. ბიძინა ივანიშვილის მთავრობა კობაიტაციის გზას დააღვა და გადაწყვიტა, „ნაციონალური“ ხელისუფლებისაგან განსხვავებით, არა

შურისძიებაზე ეფიქრა, არამედ შეენარჩუნებინა ყველა ის პროფესიონალი კადრი, მიუხედავად მათი წინა საქმიანობისა. ამას გაგებით მოეკიდა „ქართული ოცნების“ შხარდამჭერი საზოგადოება და დღეს სხვადასხვა თანამდებობებზე ვხვდებით ადამიანებს, რომლებიც რამდენიმე თვის წინ სხვა „დავალებებით“ იყვნენ დაკავებული.

18 მაისს, ანსამბლ „ერიონის“ კონცერტის დროს, ჟურნალისტ გიორგი გირკელიძეს საჯარო სივრცეში ფოტოგადაღების უფლება არ მისცეს.

რეგიონებში მედია, სახელმწიფო სამსახურებისაგან განსხვავებით არაა განეხილებული მაღალი ხელფასებით, ძვირადღირებული ავტომანქანებით და ა.შ. მაგრამ ჩვენ სხვაზე არანაკლებ გვიყვარს და ვემსახურებით ჩვენს სამშობლოს.

ჩვენ კვლავ ვიბრძობთ ჩვენს ქვეყანაში დემოკრატიის დასაცავად და პროტესტს გამოვთქვამთ ნებისმიერი ძალადობის, არასწორი დამოკიდებულების გამო, სადაც არ უნდა იყოს ის, რუსთაველის პროსპექტზე, სამაჩაბლოში თუ ოზურგეთში, — ზვიად გამსახურიას სახელობის მოედანზე. არა აქვს მნიშვნელობა, ეს მცირე ძალადობა იქნება თუ დიდი — ჩვენ ყველა ფაქტზე მოვხდებით შესაბამის რეაგირებას!

## პროექტი ზავს ულუი უნდა დასრულდეს

16 მაისს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის გენერალურმა დირექტორმა, არჩილ ცაბიტაშვილმა თავის წარმომადგენლებსა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელ, კონსტანტინე შარაშენიძესთან ერთად მაკანეთსა და შემოქმედში არსებული წყლის სათავე ნაგებობები მოინახულა.

მუნიციპალიტეტის სხვადასხვა უბნებს წყალი გრაფიკით მიეწოდება და არსებობს ისეთი უბნებიც, სადაც წყალი საერთოდ არ არის.

კონსტანტინე შარაშენიძემ გაერთიან-

ებული წყალმომარაგების კომპანიის გენერალურ დირექტორთან წყლის მიწოდების პრობლემაზე ისაუბრა და მათთან ერთად ამ პრობლემის გადაჭრის გზები დასახა.

პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს მუნიციპალიტეტისათვის წყლის უწყვეტ რეჟიმში მიწოდებას და ქსელის გამართვას, ზაფხულში უნდა დასრულდეს.

წყალმომარაგების კომპანიის წარმომადგენლებმა ობიექტები ადგილზე დაათვალიერეს და დეტალურად შეისწავლეს.

**მუნიციპალიტეტის მთავრობის პრემ-სამსახურში**

## „ჩვენ ერთად გამოვდიოდით სცენაზე“



ეს მცირე ეპიზოდი ვემაღ ჭკუასელის ცხოვრებიდან სოფ. ბახველმა, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სპეციალისტმა დემურ მეგრელიშვილმა გვიამბო:

— ვემაღ ჭკუასელი ჩემზე 12 წლით უფროსია. 1964 წლიდან 6 წლის განმავლობაში ერთად გამოვდიოდით საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტთა სახალხო თეატრში. აქ რეჟისორი კუკური მყავანაძე დგამდა საინტერესო სპექტაკლებს. ვემაღი მამინ უკვე აღიარებული პიროვნება იყო, ცნობილ „შვიდკაცაში“ მღეროდა და ჩვენი თეატრის წევრი იყო. როგორც გურულს, მპატრონობდა და

გვერდით მედგა.

ჩვენი თეატრი იმ დროს უძლიერესი იყო სახალხო თეატრებს შორის საქართველოში. 1966 წელს მოსკოვში გამართულ სახალხო თეატრების ფესტივალზე მოკავშირე რუსულელიებს შორის I ადგილი დავიკავეთ და ლაურეატები გავხდით. მოსკოვის მცირე თეატრის სცენაზე „კიკვიძე“ დავდგით. ვემაღი ამ სპექტაკლში გენერალ სიტნიკოვის როლს ასრულებდა, ხოლო მე კიკვიძის მეგობრის — ტიტოვის როლს. (ქართულად ვიამბობდით და სამი თარჯიმანი სინქრონულად თარგმნიდა ტექსტს.

იქ არის ასეთი სცენა. გენერალს მოახსენებენ, რომ მოწინააღმდეგე მდინარე გადმოლახა, ჩვენებს ანადგურებენ და შტაბისაკენ მოიწვევნი.

ვემაღმა რუსი გენერლის სახე მიიღო და უცებ შეიკურთხა ... თუ აქ მოვლენო...

თარჯიმნებს „მსახიობის“ ამ სიტყვებზე სიცილი აუვარდათ...

მოკლედ დიდ ხათაბლას ძლივს გადურჩა „მემაღოზე“ მსახიობი. მისი პოპულარობითა და ინსტიტუტის რექტორის თანადგომით, (შვილივით უყვარდა იგი) გადაურჩა ვემაღი სასჯელს.

# ლევან ყიფიანმა ოზურგეთში ა(ა)იპ-ების რეორგანიზაციის საკითხი დასვა



ოზურგეთის მუნიციპალიტეტში სტუმრობისას სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა

მინისტრი ლევან ყიფიანი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელ კონსტანტინე შარაშენიძეს და სპორტის სამსახურების ხელმძღვანელს შეხვდა და სხვადასხვა პროგრამებზე ისაუბრეს. მან სხვა სპორტულ ობიექტებთან ერთად ოზურგეთის ცენტრალური სტადიონი მოინახულა.

ლევან ყიფიანის აზრით, უნდა მოხდეს რეორგანიზაცია, რაც მუნიციპალიტეტში სპორტული ცხოვრების გაუმჯობესებისაკენაა მიმართული.

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მთავრობის პრემ-სამსახურში**

## ბაღების გაართიანებამ მშობლების ნებაყოფლობითი შენატანი სავალდებულო გახდა

გაზეთ „ალიონის“ რედაქციაში მშობელი მოვიდა და ხელშეკრულების ორი ვერსიის მიღებას ითხოვდა. ერთი 2012 წლის 5 ოქტომბერს ხელმოწერილი და მეორე ახალი. ორთავე ხელშეკრულებას ა (ა) იპ ოზურგეთის სკოლაშენი სასაწავლო-სადაზრდევლო ცენტრის დირექტორი მაკა ჭყონია აწერს ხელს და ბეჭდითაცაა დამოწმებული.

პირველი ხელშეკრულების მე-2 მუხლი ასე იკითხება: „ა(ა) ი. პ. „ცენტრი“-ს მიერ დადგენილი მშობელთა ნებაყოფლობითი შენატანის გადახდის წესი და პირობები.“ ახალ ხელშეკრულებაში კი სიტყვა „ნებაყოფლობითი“ ამოღებულია.

ხელშეკრულება მას შემდეგ შეცვალეს, რაც №3 საბავშვო ბაღის 60-მდე მშობლის მიერ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში კოლექტიური საჩივარი შევიდა, სადაც ისინი განმარტებული „ხორციის საქმის“ ხელახლა შესწავლას და სხვა

საკითხებს აპროტესტებდნენ. საკრებულოში გამართულ შეხვედრაზე მშობლებმა დასვეს კითხვა, თუ რას ხმარდებოდა მშობლების შენატანი და თუ ნებაყოფლობითი იყო, რატომ ითხოვდნენ მის აუცილებელ გადახდას. (გადასახადს კვლავ არ გადაიხდიან იძულებით გადაადგილებულ პირთა და სოციალურად დაუცველი ოჯახები).

— 17 აპრილს შეტანილ საჩივარზე საკრებულოდან პასუხი არ მიგვიღია. სამაგიეროდ მშობლებს ახალ ხელშეკრულებებზე აწერინებენ ხელს, რომლითაც ისინი ვალდებული იქნებიან, აუცილებლად გადაიხადონ გადასახადი. (5 ოქტომბერს ხელმოწერილ ხელშეკრულებას გადა 2013 წლის 30 ივნისამდე ჰქონდა (!)). ეს განსაკუთრებით საჩივარზე საკრებულოს და ბაღების გაერთიანების ერთობლივი „პასუხი“— ვითხრობდა ქალბატონმა ნ...მ.

## როგორ მიმდინარეობს ხვნა-თესვა

რედაქციაში გ. უე მოვიდა და ვითხრობდა, თქვენს გაზეთში სოფლის მეურნეობის სამინისტროს ოზურგეთის საკონსულტაციო-საინფორმაციო ცენტრის სპეციალისტ ომარ ჩხარტიშვილთან ინტერვიუ წავიკითხე და მანტერესებს-მართლა ადგილობრივი მუნიციპალიტეტი აფინანსებს მცირემწიფიანი ფართობების დახვნა-გაფხვიერების სამუშაოს.

რა პრობლემა გაქვთ-მეთქი— შევეკითხეთ. — ჩამოიარა წარმომადგენელმა და გაგავფრთხილა— ვისაც გაუჩერა არ მიგლიათ და მცირე სახნავი ფართობები (0,25 ჰა-ზე ნაკლები) გაქვთ, დახვნა-გაფხვიერების თანხა უნდა გადაიხადოთ... ჩვენ აუფხვნი, რომ როგორც ჩანს სოფლის ის წარმომადგენელი არ ფლობდა ინფორმაციას და მათ დახვნა-გაფხვიერების თანხა არ უნდა გადაეხადათ.

დაინტერესდით რა ხდებოდა სხვა სოფლებში და ოზურგეთი-ვაკეჯერის ავტობუსით გაუფლქეთ გზას (მგზავრებთან საუბარს უცვლელად შემოვთავაზებთ:

— მე ყანა არ მაქვს, მაგრამ მეზობელს აქვს 0,25 ჰა და ტრაქტორისტმა 0,15 ჰა დაუნდა, უთხრა ავი

ვაუჩერი მეტს არ ყოფნისო (ბოხგაურელი მგზავრი). — ჩვენთან ცხელისხილში ადგილობრივი ტრაქტორი ხნავს და თესავს. სათესი არ აქვს. 1000 კვ. მეტრზე ხელით მოჭრილ სიმინდის დაფარვებში 15 ლარს ვახდენენ.

— ვაკეჯერშიც მსეა. დახვნავს ფართობს ტრაქტორი, მაფრი თესვს და რომ დაფარვებში 15 ლარი უნდა დაამატო...

ასეთი იყო ამ მიმართულებაზე ადგილობრივი მოსახლეობის აზრი. საუბრობენ მოუღებელ ვაუჩერებზე, თანხების გაუგებარ განაწილებაზე, ტრაქტორების გაუმართაობაზე და ა.შ.

ყველგან რომ ვერ გასწვება შსს „მექანიზატორი“ და რამდენიმე ინდემწარმე, რომლებსაც გამართული ტექნიკა ჰყავთ გასაგება.

ამ საკითხებით ადგილობრივი მუნიციპალიტეტის გამგეობა დაკავებული. გასულ კვირამ მუნიციპალიტეტის გამგებელმა კოტე შარაშენიძემ ამ თემაზე თათბირი გამართა დაბებისა და სოფლების რწმუნებულებთან და სათანადო კონტროლის გაძლიერება დაავალა.

## გულწრფელი სამადლობელი

პატივცემულო რედაქცია! მინდა თქვენი გაზეთის საშუალებით გამოვხატო ის უდიდესი სასიკეთო განცდა, არ პირველი ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ განვიცადე და დღეს ჩემი მოლოდინი ამიხდა. საქმე ისაა, რომ ეს ბოლო პერიოდი საქართველოში და განსაკუთრებით ოზურგეთში, მოსახლეობის უდიდესი ნაწილი და პირადად მე იმედის თვალთ ვუყურებ ხვალინდელ დღეს. ადამიანები კეთილად არიან განწყობილი ახალი ხელისუფლებისადმი, განსაკუთრებით გლეხმა გაიხარა. მხედველობაში მაქვს ვაუჩერების დარბევა. პირადად ჩემმა ოჯახმა და სხვა ოჯახებმა შეგვა ივრინო. 20 წლის მანძილზე პირველად მომეცა საშუალება შემეძინა სოფლის მეურნეობისათვის საჭირო სხვადასხვა სახის აუცილებელი ინვენტარი თუ მინერალური სასუქი.

ეს კი საშუალებას მძღვეს წელს დიდი ხნის შესვენების შემდეგ სრულიად უფასოდ მოვიწვიო მოსავალი.

ხელისუფლების მიერ გადადგმული ეს ნაბიჯი გვიამბებს, სოფლის მეურნეობისადმი ზრუნვა მომავალშიც გაგრძელდება და მშრომელი ადამიანი წელში გაიმართება.

თქვენი გაზეთის საშუალებით მინდა მადლობა გადავუხადო ყველას, ვინც მოსახლეობას დაუდგა გვერდით. განსაკუთრებით— ბატონ ბიძინა ივანიშვილს და კოალიცია „ქართულ ოცნებას“ უღრმესი მადლობა. ასევე მადლობა ეკუთვნის იმ მაღაზიებს, რომლებიც კარგად ემსახურება მომხმარებელს.

**ჯემალ კიჭაყმაძე,**  
სოფ. კვირიკეთის მცხოვრები.

# მუზეუმების საერთაშორისო დღეს მიეძღვნა




17/05/2013 13:48

მუზეუმების საერთაშორისო დღეს ოზურგეთის ისტორიულმა მუზეუმმა და მისმა ფილიალებმა ღონისძიებები მიუძღვნეს.

17 მაისს დედაბუნს ეთნოგრაფიულ მუზეუმში შემეცნებითი სახალისო პროგრამა წარმოადგინეს. მუზეუმის თანამშრომლებმა, ქ. ოზურგეთის სკოლების მოსწავლეებმა გურული სამზადი სახლის გაცოცხლება მოაწყვეს. თავდაპირველად ნალიდან სათესლე მასალა ჩამოიღეს, შემდეგ შერჩეულ ნაკვეთზე ღომის და სიმინდის მარცვალი დათესეს. სამზადში მოსწავლეებმა მუზეუმის თანამშრომლების დახმარებით გურული კერძები მოამზადეს და მოწვეულ სტუმრებს ჭურვიდან ამოღებულ „იზაბელასთან“ ერთად დააგემოვნებინეს.

როგორც მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ალექო მამეშვილმა აღნიშნა, დედაბუნს ეთნოგრაფიული მუზეუმი მომავალში ერთ-ერთი საუკეთესო ტურისტული კერა გახდება გურიაში.

## „საქართველოს იმპერატორის უცვისი“



18/05/2013 13:41

ამ თემაზე ოზურგეთის ისტორიულ მუზეუმში 18 მაისს კონფერენცია გაიმართა.

მუზეუმის თანამშრომლებს ეს დღე მიულოცეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე

ირაკლი სირაძემ და მუნიციპალიტეტის კულტურის სამსახურის უფროსმა მაია თანდილაშვილმა.

შემდეგ მუზეუმის მეცნიერ-მუშაკებმა, განყოფილებების ხელმძღვანელებმა საინტერესო მოხსენებები: „ისტორიული მეცნიერების რაინდი“; „საქართველოს მოვალეობის შემსრულებელი“; „ექვთიმე თაყაიშვილი, როგორც ნუმიზმატი და არქეოლოგი“; „ექვთიმე, როგორც ეთნოგრაფი“; „ექვთიმე თაყაიშვილი, როგორც ფოლკლორისტი“; „ექვთიმე თაყაიშვილი და სამხრეთ საქართველო“- წარმოადგინეს: გოგა გორდელაძემ, მანანა ლომაძემ, მარიკა დლონტმა, დარეჯან გოგუაძემ, ქეთევან ჭვიშვილმა, რუსლან ურუშაძემ.

ამ დღეს ამ მუზეუმის ყოფილ დირექტორს ენვერ გოგუაძეს დაბადებიდან 67 წელი შეუსრულდებოდა. მუზეუმის თანამშრომლებმა ღონისძიების შემდეგ ენვერ გოგუაძის საფლავი ყვავილებით შეამკეს.

## „რა ვიცით ექვთიმე თაყაიშვილის შესახებ“



თუნესკომ 2013 წელი ექვთიმე თაყაიშვილის წლად გამოაცხადა. საქართველოს განათლების სამინისტრომ ეგიდით ტარდება კონკურსი: რა ვიცით ექვთიმე თაყაიშვილის შესახებ.“ ეს კონკურსი ამ თემაზე ბლოგის

შექმნასაც ითვალისწინებს. 18 მაისს, მუზეუმის საერთაშორისო დღეს კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტოს გურიის მხარის არქეოლოგიურ მუზეუმ-ნაკრძალში (მმართველი დავით ზურციძე) ქ. ოზურგეთის №2 საჯარო სკოლის IX კლასელებმა მარიკა სურგულაძემ და ხათუნა ქავთარაძემ აღნიშნული თემა წარმოადგინეს. მათ კონკურსის პირობებიდან გამომდინარე საინტერესო ბლოგიც აქვთ შექნილი.

მუზეუმის სტუმრებს შორის „თავისუფალი დემოკრატიის“ ოზურგეთის ორგანიზაციის წევრებიც იყვნენ. მათ ამ დღეებში სოფ. გურიანთაში VIII საუკუნის ისტორიული ძეგლის –ვაშნარის ნოქალაქარის ტერიტორიაზე აქცია მოაწყვეს და ტერიტორია დაასუფთავეს.

ამჯერად „თავისუფალი დემოკრატიის“ ოზურგეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე დიმა კვერციანიძემ ექვთიმე თაყაიშვილის ღვაწლზე ისაუბრა და მადლობა გადაუხადა მოსწავლეებს საინტერესო თემის წარმოდგენისათვის.

## კულტურული ხიდი წარსულსა და მომავალს შორის

მარი კოკოშვი

„სტუდენტურ-ახალგაზრდულმა სათათბირომ დაიწყო პროექტის - „კულტურის ხიდი წარსულსა და მომავალს შორის“ განხორციელება. პროექტი მხარდაჭერილია ვეროკავშირის საგრანტო კონკურსის ფარგლებში პროექტიდან „ახალი სიცოცხლე - ხელოვნება ასაზრდოებს მემკვიდრეობას“, და ახორციელებენ - „ხერხონის ახალგაზრდული ინიციატივების ცენტრი“ - „უკრაინა“, „CCC კრეატივის ცენტრი“ - უკრაინა, „სომხეთის ახალგაზრდა ქალთა ასოციაცია“ AYWA - სომხეთი და „ახალგაზრდული ასოციაცია ღრინი“ - საქართველო.

პროექტი მიზნად ისახავს ოზურგეთის ისტორიული მუზეუმის ცნობადობის გაზრდისა და პოპულარიზაციის ხელშეწყობას, ახალგაზრდობის ჩართულობით ხალხური ტრადიციების აღდგენა და დამკვიდრებას, მუზეუმის მიერ საქმიანობაში არაფორმალური განათლების მეთოდების გამოყენების დანერგვა და განვითარებას.

პროექტის სამიზნე ვაკუუმს წარმოადგენს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების VII-X კლასების მოსწავლეები.

პროექტის ფარგლებში დაგეგმილია:

- ვორქშოპების ჩატარება, ეთნოგრაფიისა და ტრადიციების შემსწავლელი კურსი

- ხალხური რეწვის ოსტატთა მეშვეობით გურული ტრადიციული ეთნოგრაფიული ნივთების დამზადების კურსების ორგანიზება;

- კონკურსის ჩატარება, რომელიც უკავშირდება უშუალოდ მოსწავლეების მიერ ისტორიულ მუზეუმში დაცული ექვთიმეების შესახებ ისტორიის შექმნას და მათ პოპულარიზაციას;

- ვებ გვერდის შექმნა ([www.muzeumi.ozurgeti.info](http://www.muzeumi.ozurgeti.info)) და ამოქმედება, რომელიც მუზეუმის ფართო აუდიტორიას მისცემს საშუალებას აქტიურად ჩართონ მუზეუმის მიერ დაგეგმილ ღონისძიებებში და თავისი წვლილი შეიტანონ მათ ეფექტურ განხორციელებაში, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს მუზეუმის პოპულარიზაციას;

- სახალხო, ტრადიციული დღესასწაულის ორგანიზება და პროექტის განმავლობაში შექმნილი პროდუქციის გამოფენა/გაყიდვა.

## ყულოცავთ!



ჩვენს შვიციშვილს სოფო მყავიას და მის ჩიუელს, გიოხგი ზინჭაჩაულს ვულოცავთ ბედნიეხებას – ახალი ოჯახის შექმნას. ვუსუხეხებთ ყოველივეს, ხაც ჯახგია ცხოხეხებაში. ღოღო, ნოღარ ღონაქმეხი.

## ყულოცავთ!

ოხუეხეთის საჯათეხი ცაძიხს მიხევი დაბადების ღლეს ვულოცავთ სელიეხ დას და მახთიაც მშენიეხი ქაღბატონს თამაი (ხიმა) ქახცივაძეს. ვუსუხეხებთ მას დიღბანს სიცოცხლეს, შვილებს, შვიციშვილებს და შვიცთაშვილებს ბედნიეხებას.

## მე მახარებს

მე მახარებს ჩემი ქვეყნის ძიეხება,

მე მახარებს ჩემი ქვეყნის ზეხიბი,

მე მახარებს შემახთებითი ხომ იეხება,

სანუეკვაიხი ცაძიხსაეენ გზები.

მურმან ღუნღუა,


2013 წლის 5 მაისი.

## მე-4 საერთაშორისო ფესტივალი „თოფუზი“

მეთხე წელია ანიმაციური ფილმების განვითარების ფონდი ატარებს საერთაშორისო ფესტივალს „თოფუზი.“

15 მაისს „ეჭო თოფუზის“ ფაგლებში ჩატარდა მასტერკლასი – ვორქშოფი, ოზურგეთის სამხატვრო სკოლაში.

სტუმართა შორის იყვნენ განვითარების ფონდის ხელმძღვანელი, ფესტივალ „თოფუზის“, დირექტორი ზურაბ



დასამძიბე, ტექნიკური უზრუნველყოფა ნიკოლოზ გელაშვილი, დიზაინერები ნინო გოუნაშვილი, თეა ქებაძე, პეტრე თომაძე.

სამხატვრო სკოლის მოსწავლეები ანიმაციური ფილმის შექმნის პროცესის მონაწილეები გახდნენ.

როგორც სამხატვრო სკოლის დირექტორმა

ქტორმა კასა ვასაძემ გვითხრა, სტუმრები კმაყოფილნი დარჩნენ სამხატვრო სკოლის მოსწავლეების მომზადების დონით და კვლავ აპირებენ ჩამოსვლას.

მთავარი საერთაშორისო ფესტივალი შემოდგომაზე –2-5 ოქტომბერს ჩატარდება.

## „რედისონის“ ტურნირზე

ქ. ბათუმში ჩატარდა სასტუმრო „რედისონის“ ტურნირი ჩოგბურში, რომელშიც 7 ქვეყნის (რუსეთი, თურქეთი, გერმანია, აზერბაიჯანი, სომხეთი, მოლდავეთი, საქართველო) 64 ჩოგბურთელი მონაწილეობდა.

ამ საინტერესო ტურნირში 2 ოზურგეთელი ჩოგბურთელი მამუკა კილაძე და დათო გოგოტიშვილი მონაწილეობდნენ. ორთავე ჩოგბურთელმა თითო ძლიერი მოწინააღმდეგე დაამარცხეს, მაგრამ საბოლოოდ ფინალურ ეტაპზე ვერ მოხვდნენ.

\* \* \*

ოზურგეთის საჩოგბურთო კორტებზე სტარტი აიღო ტურნირმა 26 მაისისადმი მიძღვნილი 18 წელს ზემოთ ჩოგბურთელთათვის. ტურნირში 12 მამაკაცი მონაწილეობს.

საკვალიფიკაციო შეხვედრები უკვე გაიმართა და 8 უძლიერესი ჩოგბურთელი აგრძელებს ბრძოლას. ფინალური შეხვედრა 26 მაისს გაიმართება.



# იური ხომერიკის მემორიალზე

სოფ. შრომაში ჩატარდა სპორტის დამსახურებული მუშაკის, სპორტის ოსტატის, საქართველოს მრავალჯერ ჩემპიონის, ყოფილი სსრკ მეორე პრიზიორის ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, იური ხომერიკის ხსოვნისადმი მიძღვნილი რეგიონალური ტურნირი. მასში მონაწილეობდნენ 2000-2001 წლებში დაბადებული 110 მოჭიდავე ქ. ფოთის, ოზურგეთისა და ლანჩხუთის სპორტული სექციებიდან.

- ჩემპიონები გახდნენ:
- 32 კგ. ლევან ბოლქვაძე, სოფ. შრომა, (მწ. გურამ აბაშიძე);
  - 23, 32, 76 კგ. ავთო მამალაძე, ლუკა ზაქარიაძე, საბა ცეცხლაძე-ლიხაურის ფილიალი (ალ. ბოლქვაძე);
  - 26 კგ. გიორგი თოხაძე, სოფ. შემოქმედი

- (დავით მეღუა);
- 29 კგ. გიორგი ირემაძე, დაბა ნასაკირალი (გურამ მაჭარაშვილი);
  - 35, 63 კგ. გიორგი შოთაძე, ქ. ლანჩხუთი (დავით მჭავია);
  - 38 კგ საბა მამალაძე, გიორგი ზოიძე სოფ. დეგბუ (გურამ მაჭარაშვილი);
  - 42, 53 კგ. გიორგი ლაბაძე, ომარ სირაძე, სოფ. თხინვალი (თენგიზ ლაბაძე);
- ტურნირში გამარჯვებულებს და პრიზორებს გადაეცათ შესაბამისი ხარისხის დიპლომები და მედლები. იური ხომერიკის პრიზი გადეცა ლუკა ზაქარიაძეს.
- ტურნირის ორგანიზატორები ოზურგეთის სასპორტო სკოლა და სოფ. შრომის თემის ხელმძღვანელები იყვნენ.

## ამიკო ჰეპოვის სსოვნას



მზე არ მზებოს და მთვარე არ ნათობს მაისმა მისი დაკარგა ხიბლი, 27 წლისთავს სუფრის მაგივრად

სამოთხის კარზე სასმისით ვიტყვი. ჩემო ამიკო, ჩემო ძვირფასო, სულით მდიდარო, ლამაზო ბიჭო, ვიცი ნათელი გადგია მაქაც, სასუფეველიც მორიგე თითქოს. ჩვენ აქ გვინდოდა, ჩვენს გვერდით ჩვენთან, სიცოცხლით სავსე, ხალისიანი, გამრავლებული და ბედნიერი, ცოლშვილიანი, ოჯახიანი. ოთხი თვე უცებ გაქრა გაფრინდა, ასე გაივლის მრავალი წელი, შენ უკვდავი ხარ ჩემო ამიკო, ჩვენ უშენობით ყოველდღე ვკვდებით.

მანანა ბოლქვაძე.

## ჩვენო საყვარელო ნონი!

შენ არ იყავი სახელმწიფო მოღვაწე, თუნდაც რაიმე თანამდებობის პირი, მაგრამ მანც დიდი ქალი იყავი, რომელმაც ქცევით, პატიოსნებით, საზოგადოებასთან ჯანსაღი ურთიერთობით ყველას შეაყვარე თავი. უფალმა მოგანიჭა დიდი ნიჭიერება დიდი სიყვარული, რასაც უმურველად და უხვად უნაწილებდი ყველას. ვარსკვლავით კიაფობდი საზოგადოებაში და სწორედ ვარსკვლავით ჩაიფურფლა შენი ლამაზი სიცოცხლე. გამორჩეული იყავი არამარტო გარეგნულად, არამედ შენი უღალატო ლამაზი გულითაც, რომელიც მართლაც დიდ სიყვარულს იტევდა. მიუხედავად იმისა, რომ არავითარი სიმდიდრე არ გაგაჩნდა, ქველმოქმედებასაც ეწეოდი.



გინაროდა აღდგომის ბრჭყინვალე დღესასწაულის მოსვლაც. ყვავილებით მიხვდოდი დედაშენის, რძლისა და ახლობლების საფლავებთან, აუნთებდი სანთლებს და მთელი გულით დაიტირებდი მათ. ესეც არ დაგცალდა. ექიმი მჟავია კი ისე გრძნობს თავს, თითქოს არაფერი მომხდარიყოს მის ცხოვრებაში. იქნებ ორ აბ „ტამიფლუს“ ემეგლა. ახლა ამ საქმეს ჯანდაცვის სამინისტროს კომისია სწავლობს და მათი იმედი მაქვს—სიმართლე გაირკვეს. ჩვენს ოჯახში ყოველი დილა შენზე ფიქრით და საუბრით იწყება და საღამოც ამით მთავრდება. მოდიან ჩვენთან, იზიარებენ ჩვენს მოურჩენელ ტკივილს, რასაც უშენობა ჰქვია.

შენს სოფლებში—ბაილეთსა და გურიანთაში, ოზურგეთში—სამეზობლოში დიდი სიყვარულით და გულისტკივილით გვიგონებს ყველა იმის გამო, რომ შენს ახლადშექმნილ ოჯახში მხოლოდ მცირე ხნით მოვიხდა ცხოვრება. უსამველოდ გინაროდა 8 მარტის დღესასწაულის აღნიშვნა, სახლში მოიწვევდი მეგობრებს, ახლობლებს, სიმღერითა და ცეკვით აწყობდი სუფრას, რითაც გოცბუღნი რჩებოდნენ ისინი. შენი და ნანა, რომელსაც დასაოჯახებელი შვილები ჰყავს, ამბობს — „აწი რა ხალისი უნდა ჰქონდეს ჩემს ოჯახში ქორწილებს ნონასა და რეზოს გარეშე,“ რასაც სხვებიც იმეორებენ, რომლებსაც მათი მომავალი ქორწილების დასამშვენებლად თქვენც გვულებოდით.

ადამიანის სიცოცხლე ხომ უხუნაეცი ცნებაა. შენ სიცოცხლის გადასარჩენად მხოლოდ ერთხელ მოვიხდა საავადმყოფოში მისვლა და როგორ მოგექცნენ იქ? დაუდევრობით და უპასუხისმგებლობით მოვისწრაფეს სიცოცხლე, რომელიც ასე გწყუროდა და გინაროდა...დავატოვებინეს შენი ოჯახი, შენი საყვარელი მეუღლე და ერთადერთი ვაჟი ბექა, რომელმაც ასე ახალგაზრდამ მრავალ წარმატებას მიაღწია მუსიკალურ სარბიელზე.

შენ ხომ მართლადიდებელი ქრისტიანი იყავი და ასე

ქართულ ოჯახში ქალი თავისი ღირსებით, პატიოსნებით, ხოლო კაცი თავისი ვაჟკაცობით ფასდება. შენ იყავი ადამიანი, რომელიც შვენილი ჩვენს კუთხეს, ქალაქს, საზოგადოებას. შენ იყავი ადამიანი, რომლის სიცოცხლე ძალიან ძვირად ფასობდა და სწორედ შენაირმა ადამიანებმა გადაარჩინეს საქართველო და დღემდე მოიყვანეს.

შენდამი დიდ სიყვარულსა და გულისტკივილს გამოხატავს პოეტი ნოდარ დონაძე თავის სტრიქონებში:

„დამწუხრებული მოდიან, ხალხის ზღვას ბოლო არ უჩანს, ერთი ლამაზი სიცოცხლე დააკლდა ქალაქს, შენს ქუჩას. უხვად აფრქვევდი სიყვარულს კარგი დედა და მეუღლე, კეთილ, ბედნიერ ოჯახში დღეს გლოვია და სიმწუხრე.“

ჩვენო სიცოცხლე ნონი! მართლაც დიდი გლოვია ჩვენს ოჯახში. შენ ხომ ჩვენი უდიდესი იმედი იყავი. შენ ხომ ერთი დღეც კი არ გიცხოვრია ადამიანური ღირსების გარეშე. გვაკლიხარ და გვითხარი რაზე, როგორ ამოვავსოთ ეს სიცარიელე. გვენატრებით უზომოდ. ღმერთმა სასუფეველი დაგმიკვიდროს!

**შენი მამა ამირანი, მუშაღუ რეზო, მამა ნიკო**

## ნიკო იოზიშვილის სსოვნას



ოზურგეთში, მდინარე ბუჯეთან ახლოს, ყოფილ აბაშიძის ქუჩაზე ერთი ორსართულიანი ხის სახლი იდგა, რომელშიც ამ ქალაქისათვის საყვარელი პიროვნებები ცხოვრობდნენ თავიანთი ოჯახებით: მიხეილ და პანტელეიმონ იობიშვილები.

პანტელეიმონი, როგორც №1 საშუალო სკოლის საუკეთესო პედაგოგი, აღიარებული ლიტერატორი—დიდი პატივით სარგებლობდა ოზურგეთის საზოგადოებაში; რაც შეეხება მიხეილს და მის მეუღლეს ლუბა გოგოტიშვილს, მათი პედაგოგიური მოღვაწეობის შესახებ უფრო ზემო აჭარასა და ქობულეთის რაიონში იყო ცნობილი. ცოლ-ქმარი გასული საუკუნის 30-იანი წლებიდან ზემო აჭარაში ეწოდნენ პედაგოგიურ მოღვაწეობას, ხოლო შემდეგ აჭარა-გურიის გასაყარზე, სოფ. აჭში მუშაობდნენ.

ბატონ მიხეილს და ქალბატონ ლუბას ორი შვილი ჰყავდათ. ქალბატონი ზაირა, რომელმაც ასევე პედაგოგიური სასწავლებელი დაამთავრა და სამ ათეულ წელზე მეტი ქ. ოზურგეთის №4 ბიბლიოთეკას ხელმძღვანელობდა.

შობლების გზის დადგომას აბირებდა უმცროსი ვაჟი—ნიკოც, რომელმაც ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტი დაამთავრა, მაგრამ მისი ნიჭის და გაქანების კაცს უფრო სხვა სარბიელი ელოდა.

ოზურგეთში დაბრუნებულს ჟურნალისტური საქმიანობა შესთავაზეს და სოფ. ნატანების მრავალტირაჟიანი გაზეთ „ნატანბელი კოლმურნეს“ რედაქტორად დანიშნეს. ნატანბელიდან ოზურგეთის რაიონულ აღმასკომში გადაიყვანეს. შემდეგ კი სახელმწიფო უშიშროების ორგანოებში დაიწყო მუშაობა.

ნიკო იობიშვილმა ადრევე შექმნა ოჯახი. ქალბატონი ნანი ბონიძე ასევე პედაგოგი გახლდათ (ერთად სწავლობდნენ ინსტიტუტში). 1974 წლიდან ისინი ქ. ქუთაისში გადავიდნენ საცხოვრებლად. სადაც ბატონი ნიკო 1989 წლამდე სახელმწიფო უშიშროების ორგანოებში განყოფილების უფროსად მუშაობდა.

უნდა აღინიშნოს, რომ ნიკოს შვილები ზაზა და კახა იობიშვილები ჩვენი საზოგადოების ღირსეული წევრები არიან. ზაზა, — მამის კვალს გაჰყვა და დღეს ქ. თბილისში ერთ-ერთი საპასუხისმგებლო თანამდებობა უკავია; კახა—წლების მანძილზე მუშაობდა კონტროლის პალატაში და შემდეგ —შემოსავლებს სამსახურში.

ბატონი ნიკო 5 შვილიშვილის და 4 შვილთაშვილის ბაბუა იყო. ალბათ ერთ-ერთი ბედნიერი კაცი იყო საქართველოში, რომ არა ნადრევად მეუღლის—საუკეთესო დედისა და მეგობრის, ქალბატონ ნანის გარდაცვალება.

ამ დიდ ტკივილს 2004 წელს საყვარელი დისშვილიშვილის— ვახო ზურციძის ტრაგიკული გარდაცვალებაც მოჰყვა...

იქნებ არც ისე ცოტაა 72 წელი, მაგრამ ამ ნიჭიერ და ზნეულოვანი კაცს, თავისი ახალგაზრდული ენერგიით ვერ კიდევ ბევრი შეეძლო გაეკეთებინა საზოგადოებისათვის.

იობიშვილების პედაგოგიური დინასტია ვასხენო. №1 საჯარო სკოლაში გასული საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევრიდან საკმაო ხანს ასწავლიდა ქართულ ენასა და ლიტერატურას ნიკო იობიშვილის დისშვილი —მაია თავაძე. ახლა კი ნიკოს შვილიშვილი —მონიკა აგრძელებს ამ დიდ ტრადიციას.

დღეს ოზურგეთის ქუჩებში დიდი ხანია აღარ დადინ მიხეილ და პანტელეიმონ იობიშვილები. აღარ არიან მისი საყვარელი და ზაირა და სიძე ვახტანგ თავაძე, სხვა მისთვის ახლობელი ადამიანები. ვეღარც ნიკო იობიშვილი ჩამოვივლის აღდგომას თუ სხვა დღესასწაულებს ახლობლების საფლავზე მაკვანეთში ექვდასზე, კვირიკეთში, ნატანბეში... მაგრამ დარჩა კვალი კეთილი, რომელიც ოზურგეთელმა კაცმა განვლო.

ღმერთმა სასუფეველი დაუმკვიდროს.

**ოზურგეთელი მემორაბი.**

გაზეთ „ალიონის“ რედაქცია თანაუგრძნობს მინდია სალუქვაძეს მამის **ვაჟა სალუქვაძის** გარდაცვალების გამო.

გაზეთ „ალიონის“ რედაქცია თანაუგრძნობს ზაზა და კახა იობიშვილებს, შორენა და მაია თავაძეებს მამისა და ბიძის **ნიკო იოზიშვილის** გარდაცვალების გამო.

ყოფილი შემნახველი სალაროს თანამშრომლები იუწყებიან თანამშრომლის **გულნარა თოიძის** გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს

ზურმუდი ჩხაიძე, მარინა, თამარ ვაშალომიძეები იუწყებიან თანამშრომლის **გულნარა თოიძის** გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

**სასწრაფოდ იყიღება**  
 ორსართულიანი კაპიტალური სასწრაფო სახლი  
 ქ. ოზურგეთის ცენტრში.  
 მისამართი: **ნიონიშვილის ქ. № 14 (ზაზა შთახანაძის)**.  
 ღაბრიელი: (599) 10 86 37